ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 2399.0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 2262.9 ათასი ლარის შემოსულობები, რაც გასული 2018 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებზე 485.8 ათასი ლარით მეტია, 2018 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 1777.1 ათასი ლარის შემოსავლები, 2019 წლის კვარტალური გეგმა შესრულებულია 94,3 პროცენტით .

გადასახადებში მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 1590,1 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 1087,5 ათასი ლარი, მათ შორის საწარმოთა ქონების გადასახადი დაგეგმილი 4,0 ათასი ლარის ნაცვლად 6,6 ათასი ლარი ხოლო არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი პირველ კვარტალში დაუგეგმავად 1,4 ათასი ლარი არის მიღებული ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 1586,1 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული გვაქვს 1079,4 ათასი ლარი, გადასახადების კვარტლის გეგმა შესრულებულია 68,4 %-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა 502,5 ათასი ლარი. გეგმის შეუსრულებლობის მიუხედავა 2018 წლის პირველ კვარტალთან შედარებით მიღებული გვაქვს 1069,5 ათასი ლარით მეტი გადასახადები, გასული წლის პირველ კვარტალში მიღებული გვაქვს მხოლოდ 18,0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო 556,1 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 597,4 ათასი ლარი. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი მიღებულია 34,5 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაგეგმილი 412,9 ათასი ლარის ნაცვლად 335,1 ათასი ლარი და გრანტები ცენტრალური სსიპებიდან 108,7 ათასი ლარის ნაცვლად 227,8 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების გეგმა პირველ კვარტალში განისაზღვრა 252,8 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 568,5 ათასი ლარის სხვა შემოსავლები და გეგმა შესრულებულია 224,9 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიღებული გვაქვს 379,2 ათასი ლარით მეტი შემოსავალი (2018 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 189,3 ათასი ლარი)

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელში მიღებულია 3,0 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან 20,4 ათასი ლარი; დასუფთავების მოსაკრებელი მიღებულია 10,5 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები კი ფაქტიურად მიღებულია 532,8 ათასი ლარი და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 1,0 ათასინ ლარი, გეგმა შესრულებულია ყველა სახეში.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობები პირველ კვარტალში დაგეგმილი არ ყოფილა, ფაქტიურად შემოსულია 9,6 ათასი ლარი, აქედან 4,6 ათასი ლარი ძირითადი ქონების გაყიდვიდან და 5,0 ათასი ლარი მიწების გაყიდვიდან.

სულ მუნიციპალიტეტმა 2019 წლის პირველი კვარტლის საკუთარი შემოსულობების გეგმა (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) შეასრულა 90,4 %-ით, (გეგმა 1842,9 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 1665,5 ათასი ლარი), გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 298,1 ათასი ლარით მეტი საკუთარი შემოსავალია მიღებული. (2018 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 1367,4 ათასი ლარის საკ. შემოსავალი)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში განისაზღვრა 3853,9 ათასი ლარი, ფაქტიურად გაწეულია 2865,5 ათასი ლარი, ხარჯები დაფინანსებულია 74,4 %-ით. ხარჯების დაფინანსების წყაროდ გარდა შემოსულობებისა გამოყენებულია 2019 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთი გეგმით 1454,9 ათასი ლარი და ფაქტიურად 602,6 ათასი ლარი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაწეულია 395,9 ათასი ლარით ნაკლები ხარჯი (2018 წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტს გაწეული აქვს 3261,4 ათასი ლარის ხარჯი).

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ათვისებას, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაგეგმილი იყო 1760,8 ათასი ლარის ხარჯების გაწევა, ფაქტიურად პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან ათვისებული იქნა 1122,6 ათასი ლარი. მ. შ. დელეგირებული უფლებების განსახორციელებლად 31,6 ათასი ლარი, მიმდინარე წლის რეგიონალური განვითარების ფონდიდან 443,2 ათასი ლარი, და გასული წლების სახელმწიფო ფონდების ნაშთებიდან 647,8 ათასი ლარი, აქედან საქ. მთავრობის N 136 განკარგულებით 327,1 ათასი ლარი; N 2712 განკარგულებით 197,3 ათასი ლარი, N 955 განკარგულებით 123,4 ათასი ლარი. სულ სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან

გამოყოფილი ტრანსფერები ათვისებულია 63,7 % -ით, თუმცა ვალდებულებები პირველ კვარტლის მთლიან გეგმაზე არის აღებული და აუთვისებელი თანხა 638,2 ათასი ლარი მთლიანად არის დატვირთული ვალდებულებებით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფო ფონდებიდან ფაქტიურად დახარჯულია 550,1 ათასი ლარით ნაკლები, 2018 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ფონდებიდან ათვისებულია 1672,7 ათასი ლარი.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 599,8 ათასი ლარიდან გაწეულია 556,4 ათასი ლარი, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 106,7 ათასი ლარით მეტი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2019 წლის პირველ კვარტალში განსაზღვრული 167,1 ათასი ლარიდან გაწეულია 160,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 95,9 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკრებულოს შესანახი ხარჯები გაზრდილია 33,0 ათასი ლარით, გასულ წლის პირველ კვარტალში საკრებულოს მოხმარდა 127,3 ათასი ლარი;

მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 429,6 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 396,1 ათასი ლარი, ანუ 92,2 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მერიის შესანახი ხარჯები გაზრდილია 23,7 ათასი ლარით, გასულ წლის პირველ კვარტალში მერიის შენახვაზე დახარჯულია 372,4 ათასი ლარი;

2019 წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანებით გამოიყო 10,0 ათასი ლარი სოფელ მარელისში მცხოვრები მამუკი ლორთქიფანიძის მრავალშვილიანი ოჯახისათვის საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად .

თავდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად დაგეგმილი 22,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 18,5 ათასი ლარი, მ.შ. მხოლოდ 2,6 ათასი ლარიარის საკუთარი სახსრებით გაწეული და გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 1,9 ათასი ლარით.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2019 წლის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 2192,9 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1356,4 ათასი ლარით, რაც გასული წლის პირველი კვარტლის შედეგებზე 629,7 ათასი ლარით ნაკლებია, გასულ წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებს პირველ კვარტალში მოხმარდა 1988,0 ათასი ლარი, აქედან:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 1697,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 1057,0 ათასი ლარი, ხოლო 2018 წლის კვარტალში 1717,3 ათასი ლარი, 660,3 ათასი ლარით ნაკლები.

მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა–შენახვის ხარჯებზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დახარჯულია 993,9 ათასი ლარი, აქედან 889,5 ათასი ლარი სახ. ფონდებით და 104,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

საკუთარი სახსრების თანადაფინასებით პირველ კვარტალში უშუალოდ გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 79,7 ათასი ლარი, ამასთან აღნიშნული ქვეპროგრამიდან შეძენილია ვიდეო თვალი 24,7 ათასი ლარის ღირებულებით,.

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გაწეულია 61,4 ათასი ლარი, კერძოდ, საქ. მთავრობის N2712 განკარგულებით სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდების აღსადგენად 89,6 ათასი ლარის აღებულ ვალდებულებებზე დახარჯულია 61,4 ათასი ლარი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხიდების რეაბილიტაციაზე 41,4 ათასი ლარით მეტი ხარჯია გაწეული.

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად გაწეულია 1,7 ათასი ლარი და ემთხვევა გასული წლის პირველი კვარტლის მონაცემებს.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული 313,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 264,9 ათასი ლარი, 84,4 პროცენტი, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებს 44,7 ათასი ლარით აღემატება და მთლიანად ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების სუბსიდირებაზეა დახარჯული.

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე დაგეგმილი 120,6 ათასი ლარიდან აღებულია 118,1 ათასი ლარის ვალდებულება და დაიხარჯა 33,8 ათასი ლარი , მათ შორის საქ. მთავრობის N 136 განკარგულებით დაიხარჯა 32,1 ათასი ლარი, საკუთარი სახსრების თანადაფინანსებით 1,7 ათასი ლარი და მთლიანად მოხმარდა დაბის სკვერების რეაბილიტაციას.

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 2019 წლის პირველ კვარტალში საკუთარი სახსრებით დაგეგმილი 61,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 0,8 ათასი ლარი.

განათლებაზე 2019 წლის პირველ კვარტალში გათვალისწინებული 455,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 428,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 94,1 პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი განათლებაზე დახარჯულია 267,7 ათასი ლარი, სკოლა–ინტერნატის

სუბსიდირებაზე – 27,6 ათასი ლარი, მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 25,2 ათასი ლარი და სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფისათვის 108,1 ათასი ლარი.

სულ განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაწეულია 119,4 ათასი ლარით მეტი ხარჯი. გასული წლის პირველ კვარტალში განათლებას მოხმარდა 309,1 ათასი ლარი, სხვაობა ძირითადად გამოწვეულია მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწევით.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი 342,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 331,7 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,9 პროცენტით, აქედან სპორტის განვითარებაზე 91,5 ათასი ლარი. მ. შ. სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 0.6 ათასი ლარი, ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 90,9 ათასი ლარი.

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი 190,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 185,7 ათასი ლარი და დაფინანსებულია 94,3 პროცენტით, აქედან:

ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 26,9 ათასი ლარი, ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირებაზე 158,8 ათასი ლარი, ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირებაზე 12,9 ათასი ლარი; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 6,7 ათასი ლარი და რელიგიის დაფინანსებაზე 35,0 ათასი ლარი

გასულ წლის პირველ კვარტალთან შედარებით მიმდინარე წელს კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების სფეროს დაფინანსებას მოხმარდა 46,9 ათასი ლარით მეტი, გასული წლის პირველ კვარტალში აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 284,8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე პირველ კვარტალში დაგეგმილი 240,8 ათასი ლარიდან დაიხარჯა 173,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 72,2 % - ით. აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 29,1 ათასი ლარი, მ. შ. 15,7 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 13,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით.

სოციალურ პრგრამებზე დაგეგმილი 209,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 144,8 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 21,8 ათასი ლარი,

მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 112,3 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 5,9 ათასი ლარი და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე უსახლკარო ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის ხარჯებზე 4,8 ათასი ლარი;

გასულ წლის პირველ კვარტალთან შედარებით სოციალური პროგრამებზე გაწეული ფაქტიური ხარჯები გაზრდილია 14,2 ათასი ლარით, 2018 წლის პირველ კვარტალში სოციალურ პროგრამებზე დახარჯულია 130,6 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში გაწეული 2865,5 ათასი ლარიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 1013,4 ათასი ლარი, ხოლო 1852,1 ათასი ლარი ყველა დანარჩენ ხარჯებზე, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 423,9 ათასი ლარი ანუ ხარჯების 22,8 %; საქონელზე და მომსახურებაზე 323,3 ათასი ლარი ანუ 17,5 %; აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 43,4 ათასი ლარი, მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 4,7 ათასი ლარი, საოფისე ხარჯების გაწევაზე 39,6 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 2,6 ათასი ლარი, სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 138,3 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 94,7 ათასი ლარი.

სუბსიდირებაზე 919,3 ათასი ლარი, 49,6 %, გრანტებზე 0,4 ათასი ლარი, 0,02 %, სოციალურ უზრუნველყოფაზე 117,6 ათასი ლარი, 6,3 % და სხვა ხარჯებზე 67,6 ათასი ლარი, 3,6 %.